საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1007

01/07/2021

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში შპს „ლორდი“-ს “ ნარჩენების აღდგენის (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №ი-778 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 28 მაისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ლორდის“ დირექტორმა და ითხოვა ნარჩენების აღდგენის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.

2017 წლის 22 ნოემბერს გაიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №ი-778 ბრძანება „ქალაქ თბილისში შპს „ლორდი“-ს “ ნარჩენების აღდგენის (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანია აღარ აწარმოებს ნარჩენების აღდგენის (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) ოპერაციებს და ფუნქციონირების გასაგრძელებლად, კერძოდ, პოლიმერული პროდუქციის საწარმოებლად, აღარ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ლორდის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისში შპს „ლორდი“-ს “ ნარჩენების აღდგენის (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №ი-778 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ლორდს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლორდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი